# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 286 ოთხშაბათი, 23 დეკემბერი 1909 წ. № 286

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია დაგ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ახსნება ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А“, И. С. Агладзе.

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—69)



## ქ. თელავი

კვირას, 27 ამა დეკემბერს, საკრებულო დარბაზში ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილების სასარგებლოდ პირველად გაიმართება

## ◀ მეჯლისი ▶

(КОСТЮМИРОВАННЫЙ БАЛЪ).

თელავის განყოფილების გამგეობა გულითად სთხოვს კახეთის მკვიდრთ, მობრძანდნენ და მით დახმარება გაუწიონ ამ ნორჩ დაწესებულებას. (3—1)





## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

ოთხშაბათს, 24 დეკემბერს, ცირკის დახურვასა გამო გაიმართება დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ ევროპიელი არტისტები, **სულ ახალი დასი**, პირველად ტფილისში. უდიდესი პროგრამა. უკანასკნელი პროგრამმა საზღვარ-გარეთის ცხოვრებისა და იპოდრომებისა. და სასრულ დიდი ბალეტი „**ბალიაბილი**“. დაწვრილებით პროგრამებში.

**დასაწყისი საღამ. $8^1/_2$ საათზე.**

**ანონსი:** 26 და 27 დეკემბერს ორ-ორი წარმოდგენა. დღისით ბავშვებისათვის, დაკლებულის ფასებით. დასაწყისი 2 საათზე.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

გამგე **გამსახურდია.**

(0—ს.—4)



## გლეხი-კაცის ისტორია

◀ **მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე** ▶

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა**. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების“ და „მომავლის“ ცალკე-ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—14)



1910 წლის 1 იანვრიდან

**გამოვა ახალი კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო სათეატრო სურათებიანი ჟურნალი**

## თეატრი და ხელოვნება

**იუმორისტიულ განყოფილებით და კარიკატურებით.**

ჟურნალის მიზანია სათეატრო საკითხების გარკვევა-განხილვა. დაიბეჭდება თეატრის შესახები წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრობები და სხ.

**ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:** მ. ადამაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ი. გრიშაშვილი, გ. გუნია, შ. დადიანი, დუტუ მეგრელი, ვაჟა-ფშაველა, მ. თოიძე (მხატვარი), კ. მესხი, ლ. მეტრეველი, ი. ნაკაშიძე, დ. ნაზუცრიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, გ. ურუშაძე, ა. შანშიაშვილი, ო. შმერლინგი (მხატვარი) და სხვა ცნობილი მწერლები და მხატვარნი. კლიშეები მზადდება ქართველთა ამხ. **ცინკოგრაფიაში.**

წლიურად გაგზავნით დამატებებით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერის დროს 2 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან; ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драм. О-ва.

(4—1)



**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—133)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—20)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—79)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში. იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—11)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდულოვის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—327)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—67)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—1362)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—სამარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

მ. **კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. მეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—89)

იანვრის პირველ რიცხვებში 1910 წ. ქალ. ბაქოში გამოვა ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მარცვალი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 3 მ. 20 კ., ნახევარი წლით—1 მ. 70 კ, ცალკე ნომერი—5 კაპ.

ყოველგვარი წერილები და აგრეთვე ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Баку. Типографія Эриванцева. Въ редак. груз. газеты „Марцвали“.

რედაქტორ-გამომცემელი **შ. გელოვანი.**

4—1


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 21 ამ დეკემბერს მ. ს. არამიანცის პავილიონში იხსნება ერთი განყოფილება მხოლოდ შინაგან სნეულებით ავადმყოფ მამაკაცთათვის. სხვა განყოფილებათა—ქირურგიულ და ქალთა თერაპევტიულის—გახსნის შესახებ ახლო მომავალში იქნება გამოცხადებული.

ექიმობისათვის საზოგადო პალატებში დაწესებულია 15 მანეთი თვეში, ხოლო იმათთვის, ვისაც ცალკე სურს, განსაკუთრებული ფასია. ღარიბები განთავისუფლებულნი იქნებიან ფასისაგან ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებულ წესების თანახმად. (3—ნ.—3)


**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—1


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 დეკემბერი.

### საზღვარ-გარედ

**ალექსანდრია.** დამიეტაში ცეცხლი გაუჩნდა თამბაქოს საწყობს; დაიწვა 3 მილიონ მანეთის თამბაქო.

**ათინა.** სამინისტროდან გავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი. სულთანმა მინისტრ-პრეზიდენტს სთხოვა, ამის გულისთვის სამინისტრო ნუ გადადგება, რადგან საქმეები ისედაც აწეწილ-დაწეწილია და სამინისტროს გადადგომის შემდეგ, ხომ უფრო აიწეწებაო. მინისტრ-პრეზიდენტი დასთანხმდა.

**ბუდაპეშტი.** დამოუკიდებელთა პარტიის წევრებმა ინახულეს თავიანთი ლიდერები კოშუტი და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. კოშუტმა პარტიის წევრებს, სხვათა შორის, უთხრა: იმპერატორი უნდობლად უყურებს დამოუკიდებელთა პარტიის პრინციპს და ეს იყო მიზეზი, რომ სამინისტროს გადადგომის შემდეგ, ჩვენ არ მოგვმართა ახალ სამინისტროს შედგენის შესახებ. ჰუნგრეთის დამოუკიდებელ ბანკის განსახორციელებლად ყველაფერი მზად იყო, მაგრამ პარტიაში ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ ყველაფერი გააქარწყლაო.

**ლონდონი.** ინგლისსა და ირლანდიის შუა, ზღვაში ორი გემი ერთმანეთს დაეჯახა. ერთი გემი ჩაიძირა. დაიხრჩო 13 კაცი.

ნორტუმბერლანდში გაიფიცა 10,000 სამთა-მადნო მუშა. მუშებმა რვა საათის სამუშაო დღე მოითხოვეს, მაგრამ მადნების პატრონებმა უარი უთხრეს.

**ბომბეი.** მოსამართლის ჯაკსონის მოკვლის გამო დააპატიმრეს 30 კაცი. ზოგიერთებს ბრაუნინგები უპოვნეს.

**სოფია.** სამხრეთ ბოლგარიიდან იუწყებიან: მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდნენ. მცხოვრებლებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ზოგიერთ ადგილებში რკინის გზის ლიანდაგი გაფუჭებულია.

**სტამბოლი.** სამინისტროს გადადგომის შემდეგ დეპუტატთა პალატის სხდომები შესწყდა. მმართველობის საქმეები შეჩერებულია. ეს სამი დღეა სოფიიდან მატარებელი არ მოსულა და ფოსტა არ მოუტანია.

### რუსეთი

**ვილნო.** კომერციულ ბანკის დაწვის დროს დაიღუპა ცეცხლის მქრობელთა რაზმის ფელდფებელი.

**ასტრახანი.** ზოგიერთმა გაზეთმა ხმა გაავრცელეს, ასტრახანში


## ნატალია ვახტანგის ასულის კნეინა ამირეჯიბის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ოთხშაბათს, 23 დეკემბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილი **როსებ თადეოზის ძე ამირეჯიბი**, რძალი კნ. **სალომე გიორგის ასული ამირეჯიბისა** და შვილის შვილები **გიორგი** და **ქაიხოსრო როსების ძენი ამირეჯიბები** და **თამარ როსების ასული ყანჩელისა.** წირვა დაიწყება დილის $10^1/_2$ საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2—ნ.—2)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 3, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—231)



კაზმული მწერლობა—მხატვრობა—მუსიკა—თეატრი.

## „ფასკუნჯი“

**სალიტერატურო—სამხატვრო ჟურნალი 1910 წლის**

იანვრიდან გამოვა თვეში ერთხელ თვიური ჟურნალის სახით.

„ფასკუნჯში“ დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, პიესები; კრიტიკული და და ისტორიული წერილები კაზმული მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის შესახებ; ხელოვნების ქრონიკა, და

◀ **სურათები** ▶

ფერადი და ფოტოტიპიური ერთფერი.

„ფასკუნჯი“ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხელოვნების ნამთებს.

გარდა ჟურნალისა ყოველს ხელის-მომწერს, რომელიც მთლად გადაიხდის წლიურს ფასს, საჩუქრად მიეცემა.

◀ **შოთა რუსთაველის** ▶

დიდი ფერადი სურათი (11—8 ვერშ. ზომით)

„ფასკუნჯში“ მონაწილეობას იღებენ: აკაკი, კ. აბაშიძე, შ. არაგვისპირელი, განდეგილი, ი. გომართელი, ი. ევდოშვილი, ან. ერისთავი-ხოშტარია, დუტუ-მეგრელი, ს. მგალობლიშვილი, დ. ლუკაშვილი, კ მალაქიაშვილი, ნ. ლომაური, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ნიკოლაძე, თ. რაზიკაშვილი, გრ. რობაქიძე. ა. ხარაჯიშვილი, სიტყვა, ზ. ფალიაშვილი, ი. ფანცხავა, ალ. ხახანაშვილი, გ. შალიკაშვილი, ალ. შანშიაშვილი, ტ. შევარდენაძე, გ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვ.

ჟურნალის სამეურნეო ნაწილის (ბეჭდვა, დასურათება და სხ.) გამგენი არიან: კ. მესხიშვილის ლითოგრაფია და „სორაპანის“ სტამბა.

ჟურნალის ფასი; წლით 5 მან., 6 თვით 3 მან. წლიური ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: თავში 2 მან , მაისში 2 მ. და სექტემბერში 1 მან.

ჟურნალი ნომრობით არ გაიყიდება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: კ. მესხიშვილთან, სორაპანის სტამბაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. პროვინციაში აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапани“.

(6—2)

რედაქტორ-გამომცემელი **ს. ფირცხალავა.**



**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—79)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ქუთხე). (100—ზალ.—92)

ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა მაჰმადიანთა ყველა სასწავლებლებიო. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. სამოსწავლო-მთავრობამ მაჰმადიანთა სკოლებში მხოლოდ სამ მასწავლებელს აუკრძალა სწავლება, რადგან შესაფერი უფლებები არა ჰქონდათ.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ დროს, როგორც საზღვარ-გარეთის, ისე რუსეთის გაზეთები სწერენ, სპარსეთის ყაზახთა ბრიგადის უფროსად ნამყოფი პოლკოვნიკი ლიახოვი სპარსეთში ყოფნის დროს კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსს საიდუმლო მოხსენებებს უგზავნიდა და თავის მოხსენებებში სპარსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას ეხებოდაო. სპარსელ გაზეთ „ხაბლ ულმეტი“-ში (ინდოეთში გამოდის) და გერმანულ გაზეთ „ფორვერტში“ კიდევაც დაიბეჭდა ვითომდა ლიახოვის მიერ გაგზავნილი რამდენიმე მოხსენება. ეს მოხსენებები ვითომ კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორ ბრაუნს უნდა ეშოვნოს. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ ცნობები შეჰკრიბა და აღმოჩნდა, რომ პოლკოვნიკ ლიახოვს კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსისთვის არავითარი საიდუმლო მოხსენებები არ უგზავნია და ზემოდ დასახელებულ გაზეთებში დაბეჭდილი მოხსენებები მოჭორილია.

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა რიბანსკის ბავშვთა თავშესაფარის დირექტორის, ექიმ მაკაროვის საკასაციო საჩივარი. მაკაროვს ბრალდებოდა თავშესაფარში 11 ქალიშვილის (10—12 წლამდე) გაუპატიურება, რისთვისაც სასამართლომ 8 წლით კატორღა გადაუწყვიტა. სენატმა მაკაროვის საქმე ხელმეორედ განსახილველად გადასცა.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციამ დაიჭირა გაზეთების, „სოვრემენნოე სლოვოს“ და „რუსკ. ზნამიას“ 20 დეკემბრის ნომრები. გაზეთების რედაქტორები სამართალში მისცეს.

**პეტერბურგი.** ნიჟეგოროდის გუბერნიაში გაძლიერებული წესები 1910 წლის 4 სექტემბრამდე დარჩება.

**მოსკოვი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, ავად არის 55 კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად არავინ გახდა, ავად არის 8 კაცი.

## გერმანელთა ახალშენების ცხოვრებიდან

გერმანელთა ახალშენების ცხოვრება მრავალ მხრივ არის საინტერესო. ერთსულოვნება, ერთმანეთის დახმარება, საზოგადოთ საქმის გაკეთება, ურთი-ერთ შორის ამხანაგური განწყობილება—აი, რა ახასიათებს გერმანელთა ცხოვრებას ახალშენებში. შეიძლება ყველა ეს კარგი თვისება იყოს შედეგი იმ გარემოებისა, რომ ისინი მოწყვეტილნი არიან თავიანთ სამშობლოს, და აქ უცხოთა შორის უფრო ღრმათ ჰგრძნობენ თავიანთ ერთობას. მაგრამ რა მიზეზიც უნდა იყოს, მათი „ერთობა“ საგულისხმიეროა.

როგორც წინა წერილში მოვიხსენიე, გერმანელთა ახალშენებში საამხანაგო საზოგადოებებს მკვიდრად აქვთ ფეხი მოკიდებული, და ახალ ახალშენებში გერმანელები უეჭველად ჯერ ამხანაგობას აღგენენ ხოლმე.

ავიღოთ მაგალითისთვის თუნდა მათი ახალი ახალშენი აქსტაფა. გერმანელებმა ამ სამი წლის წინად საამხანაგოდ იყიდეს მიწა ქართველ თავადიშვილისა და თათრის ბეგისაგან და იქ დასახლდნენ. პირველი მათი მოქმედება ის იყო, რომ ააშენეს საზოგადო სარდაფი (მარანი). თუ წინად გერმანელები პირველად ჯერ სამლოცველოს და სკოლას აშენებდნენ, ეხლა ჯერ აშენებენ საზოგადო საამხანაგო სარდაფს (მარანს) და სკოლის, შემდეგ საამხანაგოდ გამოჰყავთ როგორც სარწყავი, ისე სასმელი წყალი და ვენახებიც თითქმის საზოგადოთა აქვთ. გერმანელების ვენახები ერთად არის თავმოყრილი და ერთი საზოგადო გალავანი აქვს შემორტყმული. უცხომ რომ ნახოს, ეგონება, ეს ამოდენა უზარ-მაზარი ვენახი ერთ კაცს ეკუთვნისო. მაგრამ ეს ვენახი ერთ კაცს კი არა, მთელ ახალშენს ეკუთვნის. ერთი კაცის ვენახი მეორისაგან მხოლოდ წვრილი ბილიკით გაიყოფება. ვაზები ყველგან რიგზეა ჩაყრილი და სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს. ვენახის შუაში სადარაჯო სდგას. დარაჯი ვენახში საზოგადო ჰყავთ, ისე რომ ორი სამი დარაჯი მთელ ამ უზარმაზარ ვენახს ყარაულობს. სიგძე ვენახისა, მაგ., ჰელენენდორფში ექვსს ვერსს აღემატება, სიგანე სახევარ ვერსიდან სამ ოთხ ვერსამდის ადის. მაგრამ ამ უზარ-მაზარ ვენახს მხოლოდ ორი ყარაული უყენია, რომელნიც ცხენებით უვლიან გარშემო. უნდა აღვნიშნო, რომ აქ საშინელი ქურდობა იციან ყურძნისა თათრებმა და მათთან ბრძოლა ძნელია. ვენახში გადის საურმე გზა, რომ რთვლის დროს ფურგუნებს თავისუფლად შეეძლოთ მიმოსვლა. ბევრ ალაგას კოხტა ბოგირებია გაკეთებული.

განჯისკენ ტყეები ცოტაა და ამისთვის ჭიგო (სარი) ძალიან ძვირია. ვენახს კი ბევრი ჭიგო უნდება. გერმანელებმა ჭიგოც თითონვე გაიჩინეს. რაც გამოუსადეგარი ადგილი იყო, დაიყვეს და აკაცია დათესეს. აკაციას ორი კარგი თვისება აქვს: ჯერ ერთი ძალიან მარდად იზრდება და მეორეც მაგარია. სამი წლის აკაცია უკვე ჭიგოდ გამოდგება და ამ აკაციას ხმარობენ გერმანელები ჭიგოდ. როცა აკაციას მოსჭრიან, იმის ალაგას კიდევ დასთესავენ. აკაციასაც რიგზედ სთესავენ. კახეთში, მაგალ., არ შემხვედრია, რომ ჭიგოდ აკაციასა სთესავდნენ. შეიძლება ეს აიხსნება იმითი, რომ იქ ტყე კიდევ ბევრია.

ვაზის ასახვევად კახეთში ხარელსა ხმარობენ, რაც კახელებს ძალიან ძვირად უჯდებათ. ხარელი თითქმის რუსეთიდანაც კი მოაქვთ. გერმანელები ხარელს სრულებით არა ხმარობენ. აქ ვაზებს ახვევენ (ჭიგოზედ აკრავენ) ტირიფის (წნორის) წკეპლებით. გამოუსადეგარ ალაგზე გაშენებული აქვთ ერთი ჯიშის წნორი, რომლის ტოტებიც თოკისავით იხრება. შემოდგომაზე დააჭრიან ტირიფს ტოტებს, წვრილ-წვრილ წკეპლებს ერთად შეჰკრავენ და გაზაფხულამდის ინახავენ. გაზაფხულზე ერთი კვირა წყალში ჩაჰყრიან. ეს წკეპლები ისე მოდუნდება, რომ ხარელს ათას წილადა სჯობია. წელს რომ ტირიფს გაკრეჭენ გაზაფხულზე ეს ტირიფი სხვა ტოტებს ამოიყრის, რომელთაც შემოდგომაზე დააჭრიან ვაზების ასახვევად. როგორც აკაცია, ისე ტირიფი იმისთანა ადგილებზე აქვთ გაშენებული, რომელიც არაფრისთვის არ გამოდგება, მაგალ., ხევების პირად. ხევი ხშირად წაიღებს ხოლმე ადგილს, ტირიფი კი ნაპირებს ამაგრებს.

კარგს იზავენ, თუ კახელებიც გერმანელებს მიჰბაძავენ, მიჰყოფენ ხელს აკაციისა და ტირიფის გაშენებას და ამგვარად იაფად დაისვამენ ვენახის მოვლას.

**გიორგი.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს 21 დეკემბრის სხდომას 51 ხმოსანი დაესწრო, რადგან ამ დღეს არჩევანი იყო დანიშნული ქალაქის გამგეობის წევრისა. რადგან თავმჯდომარემ იცოდა, რომ გამგეობის წევრის არჩევის შემდეგ ხმოსნები გაჰქრებოდნენ, ამიტომ პირველად განსახილველად წარადგინა რამდენიმე მიმდინარე საქმე. საბჭომ მოისმინა მოხსენება ქალაქის თავის ვ. ნ. ჩერქეზიშვილის საექიმოდ წასვლის შესახებ პეტერბურგში. დაამტკიცა 1910 წლისათვის საბჭოს სხდომებისათვის დანიშნული დღეები. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ქალთა უმაღლეს კურსების სამზრუნველო კომიტეტის შუამდგომლობამ 5000 მან. შემწეობის შესახებ, საფინანსო კომისიას შესაძლებლად უცვნია 3000 მანეთის მიცემა. საბჭომ კარგა ხანს თათბირის შემდეგ დაადგინა, დაეხმაროს კურსებს ყოველ წლიურად 5000 მან. გადადებით. კიდევ რამდენიმე წვრილმან საქმის შემდეგ საბჭო შეუდგა გამგეობის წევრის არჩევას. გამგეობის წევრის თანამდებობაზე კანდიდატებად ბარათებით დაასახელეს ნ. პ. კოკჩაევი—20 ხმით, ივ. ს. ჯაბადარი—14 ხმით, ხუნუნცი—5-სა და ათაბეგოვი 9 ხმით. ხმ. ხუნუნცმა კენჭის ყრაზე უარი განაცხადა და ყუთი დაიდგა დანარჩენმა სამმა კანდიდატმა. პ. კოკჩაევს ამოუვიდა 25 თეთრი და 24 შავი კენჭი. ჯაბადარს 19 თეთრი და 30 შავი, ხოლო ათაბეგოვს 12 თეთრი და 37 შავი კენჭი. ამ რიგად 4 წლის ვადით კვლავ გამგეობის წევრად არჩეულ იქნა ნ. პ. კოკჩაევი. არჩევნების შემდეგ ხმოსანთა ნახევარზე მეტი საბჭოდან წავიდა და საბჭომ ძლივს ორი საქმის განხილვა-ღა მოასწრო. საბჭომ, გამგეობის დადგენილების თანახმად, უარ-ჰყო ტფ. გუბერნატორის წინადადება 10,000 მანეთის გადადების შესახებ კრწანისის ხიდის გასაკეთებლად. ნავთის ქალის იჯარით გაცემის შესახებ საბჭომ დაავალა გამგეობას შეეკითხოს ძველს მოიჯარადრეს მარქაროვს, განაგრძობს იგი თუ არა ნავთის აღმოსაჩენად მუშაობას. თუ ძველი მოიჯარადრე უარს იტყვის, მაშინ ამ ადგილის იჯარით გასაცემათ დაინიშნება ახალი ვაჭრობა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 21 დეკემბერს, მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობამ თათბირი იქონია, სხვათა შორის, საზოგადოების ნივთიერ გაჭირვებაზე და დაადგინა, უქმეებზე გამართოს კალცოვის დილა და შემოსავალი გადასდოს საზოგადოების სასარგებლოდ. გამგეობამ [illegible] აგრეთვე რკინის გზის სამართველოს და [illegible] საზოგადოებას, რომ დაუთმონ უნივერსიტეტისა [illegible] სექციას ავჭალის აუდიტორიას და რკინის გზის სახელოსნოების თეატრში კვირაში თითო დღე წარმოდგენებისათვის.

✦ **თელავი.** წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილების გამგობამ თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია ვ. ვ. კახიძე, მდივნად—კნ. თ. ა. აბაშიძე და ხაზინადრად—ივ. დ. პაატაშვილი. თავმჯდომარედ თავ. ჭავჭავაძე.

✦ **ქალაქის იურისკონსულტის საუბარი.** ქალაქის იურისკონსულტმა ბ-ნმა ათაბეგოვმა უარი განაცხადა თანამდებობაზე. როგორც გავიგეთ, კანდიდატად ამ თანამდებობაზე ასახელებენ ნაფიც ვექილს ივ. სპ. ჯაბადარს.

✦ **„ზაკავკაზიესათვის“ დახმარება.** როგორც გავიგეთ, ტფ. დეპუტატთა და მარშალთა სხდომას დაუდგენია, 1000 მან. შემწეობა აღმოუჩინოს რუსულ გაზეთ „ზაკავკაზიეს“.

✦ **„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-24 ნომერი (მცირე წლოვანთათვის). ამ ნომერში მოთავსებულია ნაწარმოებნი შიო მღვიმელისა, ა. შანშიაშვილისა, ცქვიტისა, ვ. თამროშვილისა, მარიამ დემურიასი და სხვათა.

✦ **წიგნებით დახმარება.** რომის უნივერსიტეტის სტუდენტმა შალვა ვარდიძემ შუამდგომლობით მიმართა წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას და სთხოვა წიგნები ქართულის ლიტერატურისა, ისტორიისა და მუზეუმის შესახებ. სტუდენტი ვარდიძე იწერება, რომ

## „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობა და პროფესორი ნ. მარრი.

(წერილი პეტერბურგიდან).

თუ კი ქართულ ლიტერატურის ზოგიერთ მარგალიტზე შეიძლება ითქვას, გამოუკვლეველია და შეუსწავლელიო; თუ კი შეიძლება ითქვას რომელსამე ნაწარმოებზე, ღირსშესანიშნავი, მეცნიერულ საფუძველზე აშენებული გამოკვლევა ან კრიტიკული განხილვა არ არსებობსო; თუ კი შეიძლება ითქვას, ესა და ეს ნაწარმოები პირველყოფილ სახით არ არის აღდგენილი და ცნობილიო,—ასეთ ნაწარმოებად უსათუოდ უნდა ჩაითვალოს „ვეფხის-ტყაოსანი“. „მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ უვაჭრელათო“, ამბობს რუსთაველი. თითქოს „ვეფხის ტყაოსნის“ ბედი ამ სიტყვებში გამოუხატავს ავტორს. თითქოს იგი ჰგრძნობდა, რომ ბევრი განსაცდელი მოელოდა იმის „ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტს; თითქოს ჰგრძნობდა, რა ეკლიანი გზა ექნებოდა გასავლელი იმის უკვდავ ქმნილებას და ამ ეკლიანის გზის გავლენის დროს ბევრი ნარევალი მჭიდროდ ჩაერჭობოდა გენიოსის მიერ შექმნილ საუცხოვო თაიგულს, ვარდითა და იათი კოხტად შეზავებულს. „თუმცა რუსთაველის დიდმა სახელმა, და მისის ქმნილების გენიოსობამ დაიცვა „ვეფხის-ტყაოსანი“ დაღუპვისაგან და შვიდი საუკუნის ბარბაროსობას გადაარჩინა, მაგრამ ამ ბედმა ცუდი სამსახურიც გაუწიაო“, ამბობს „ვეფხის-ტყაოსნის“ მკვლევარი ბ-ნი სარაჯიშვილი. ოღონდაც: ისიც გასაკვირველია, რომ „ვეფხის-ტყაოსანმა“ იმ სახით მოაწია ჩვენ დრომდის, რა სახითაც იგი დღეს ხელთა გვაქვს, და ამის მიზეზი სწორედ, ერთის მხრით, თვით ავტორის სახელისა და სახის სიდიადე და მეორის მხრივ-კი თვით ქმნილების გენიალობა. მარგალიტი ერთნაირ თვისებას ინარჩუნებს ყველგან, სადაც უნდა იყოს იგი. „ვარდთა და ნეხვთა... მზე სწორეთ მოეფინებისო“, სთქვა რუსთველმა და, იმის მიუხედავად, რომ ბევრი ყალბი ადგილი შეაპარეს სხვა-და-სხვა დროის გადამწერლებმა, რის უარყოფა ახლა არავის აზრადაც არ მოუვა და რასაც სამართლიანად ამტკიცებს ბ-ნი სარაჯიშვილი და ამ უკანასკნელ დროს-კი უფრო საბუთიანად პროფესორი ნ. მარრი, „ვეფხვის-ტყაოსანი“ მარად თანაბრად გაანათებს ჩვენს წყვდიადით მოცულ სამშობლოს ცას და დარჩება საუკეთესო, უტყუარ ძეგლად ჩვენი ერისა და რუსთაველის გენიოსობის.

ჩემი შენიშვნის საგანს, როგორც სათაურიდანაცა სჩანს, არ შეადგენს მთელი პოემის განხილვა. მე მინდა მხოლოდ „ვეფხვის ტყაოსნის“ წინასიტყვაობაზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება, მინდა მკითხველს დავანახო, გავაცნო პროფესორ ნ. მარის აზრი ამის შესახებ.

წინასიტყვაობის თაობაზე ჩვენს მწერლობაში რამდენიმე აზრი არსებობს. ერთნი იმ აზრისანი არიან (ბარონ სუტნერი, ჩუბინიშვილი, სვ. ქვარიანიც), რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობა სრულად, პირველ ტაეპიდან უკანასკნელამდე ეკუთვნის რუსთაველის კალამს; მეორენი კი ამბობენ, (კარიჭაშვილი), რომ წინასიტყვაობა არ ეკუთვნის რუსთაველს, რადგან არავითარი ერთობა არა აქვს წინასიტყვაობას თვით პოემასთან, რადგან წინასიტყვაობაში გამოთქმული აზრები ერთმანეთის საწინააღმდეგოა და ულოღიკოაო; მესამენი კი ამტკიცებენ (სარაჯიშვილი და პროფესორი ხახანაშვილი): წინასიტყვაობა რუსთაველისაა, მხოლოდ იგი შერყვნილია გადამწერლებისაგან ახალ ტაეპების ჩამატებითაო. ბ-ნი სარაჯიშვილი უარჰყოფს მხოლოდ სამ ხანას, სახელდობ: 5, 9, და 16, მე 10, 14, 18, 21, 22, 26, 27, 28, 29, 30, 31 საეჭვოდ მიაჩნია და გადაჭრით არაფერს ამბობს.

პროფეს. მარრი გაცილებით უფრო შორს წავიდა. იგი უარ-ჰყოფს მე 2, 14, 15, 27, 28, 29, 30, 31 ხანას წინასიტყვაობაში და 1574, 1575, 1576 ხანას უკანასიტყვაობაში. ამასთან შეიტანა შესწორება თვით წინასიტყვაობის ტექსტში და, ძველებურ გრამატიკულ კანონის მიხედვით, აღადგინა პირველყოფილი სახე რუსთველის ენისა. ამასთან ძირიანად გამოსცვალა ჩვენში ცნობილი წყობილება ხანისა და ისეთ ნაირად დააწყო, რომ ახლა მეტი კავშირი და ლოღიკური დამოკიდებულება აქვთ წინა ხანებს მომდევნოებთან, ვიდრე იყო და არის კარიჭაშვილის გამოცემაში.

როგორც გავიგე პრ. მარრი ამზადებს კრიტიკულ ტექსტს „ვეფხ.-ტყაოსნისას“ და საფუძვლიან შრომას ამ ნაწარმოების შესახებ. ჯერჯერობით მხოლოდ წინასიტყვაობა დაამთავრა და თავის მსმენელებს დაურიგა. მე ხელთა მაქვს ერთი ასეთი ფურცელი და იგი მინდა გავაცნო მკითხველ საზოგადოებას.

პროფ. მარრის აზრით, რუსთაველი იყო ისეთი პოეტი, რომელმაც გამეორება ერთხელ თქმულისა არ იცის და არც უყვარდა, რომელსაც აქვს ძლიერ მდიდარი ლექსიკონი სხვადასხვა აზრის ფერადებათ გამოსათქმელად. იგი კმაყოფილდება ერთხელ თქმულით და ამიტომაც არასოდეს არ უბრუნდება მას შემდეგში. მისი გრძნობა საერთოდ წმინდაა, ვით ანკარა წყარო, მოციმციმ-მოელვარე, ვით დილის ნამი, მტკიცე და შეურყეველი, ვით კლდე. მისი სიყვარული პლატონიურია მუდამ და ყოველთვის, და აი ამ საფუძველზე აშენებს იგი თავის ქმნილებას. დაახლოვებით ასეთის აზრისაა პროფ. ნ. მარრი რუსთველზე და იგი ალბად ამით ხელმძღვანელობდა თვის გამოკვლევის დროს.

როგორც ზევითაც მოვიხსენიე, პროფ. მარრი არ დაკმაყოფილდა მარტო ყალბის ხანების აღმოჩენით, მან დაალაგა ხანებიც. თუ რა სახე მიიღო ამას შემდეგ „ვ.-ტ.“ წინასიტყვაობამ, ამას მკითხველი ქვევით დაინახავს, სადაც მოყვანილი იქნება იგი იმ სახით, რა სახეც მარრმა მისცა. ახლა კი მინდა მოვიყვანო ის მოსაზრება, რითაც ხელმძღვანელობდა პრ. მარრი თვის შრომის დროს. ეს არც ისე ადვილი საქმეა, რადგან ეს მოსაზრებანი ჯერჯერობით დასტამბული არ არის და მხოლოდ იმის ლექციებიდან ვიცით. ამიტომ შეიძლება უნებლიეთ ზოგიერთი რამეში შევცდეთ და წინდაწინ ბოდიშს ვიხდი, თავდაპირველად პროფ. მარრის და შემდეგ მკითხველის წინაშე.

პროფესორი მარრი უარ-ჰყოფს წინასიტყვაობაში 8 ხანას და უკანასიტყვაობაში კი 3. *)

„რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით მთიერითა“.
და მისგან არს ყოვლი ხელ-მწიფე სახითა მით ძლიერითა,..

ეს ხანა ბ-ნ მარრის მიერ შესწორებულ წინასიტყვაობაში პირველი ხანაა, როგორც სხვა გამოცემებში, მაგრამ შემდეგ კი რადიკალურად შეცვლილია. ამ ხანას შემდეგ პრ. მარრმა მეორე ხანათ მოათავსა მე-18 ხანა (კარიჭაშვილის გამოც.).

პრ. მარრი დაახლოვებით შემდეგს ამბობდა თავის ლექციებზე: პირველ ხანაში გამოთქმულია ის აზრი, რომ ყველაფერი, რაც კი ქვეყანაზეა, შექმნილია „ძალითა მით ძლიერითა“. მან მოგვცა ჩვენ ქვეყანა „უთვალავი ფერითა“ და ყველაფერი „იმისაგან“ გამომდინარეობს. მეორე ხანაში („ჰე ღმერთო ერთო შენ შექმენ“...) იგივე აზრი მეორდება და რადგან რუსთაველი, მას შემდეგ რაც ასე მკაფიოდ გამოსთქვა თავისი აზრი ზენაარ ძალზე, შემდეგ ხანაში არ გაიმეორებდა ამასვე, ამიტომ შეუძლებელია იგი რუსთაველს ეკუთვნოდესო. ახლა საკითხი იმაშია, რაკი ბ-ნმა მარრმა მე-2 ხანა ყალბად იცნო, რად მოათავსა იმის ადგილზე მე-18 ხანა (კარ. გ). პრ. მარრი აქ ლოღიკურად უკავშირებს ერთმანეთს ამ ორ ხანას, რომელიც წინად ერთი მეორისაგან 17 ხანით იყო დაშორებული. იგი ამბობს: რადგან რუსთაველს სწამს, რომ ყველაფერი ღვთისაგან არის, რომ იგი განაგებს ყოველ მოვლენას და რადგან „უგანგებოთ“ არაფერი მოხდება, ცხადია, რომ თვისება ყოველ არსებისა, ყოველ ქმნილებისა წინდაწინვე განსაზღვრულია, და რადგან მე-18 ხანაში ლაპარაკია იმაზე, ყველა თავისი ბედით კმაყოფილდებოდესო, უპირატესობა ამ ხანას უნდა ეკუთვნოდესო.

შემდეგ მოსდევს მესამე ხანად მე-8 ხანა. რაკი ამ შემთხვევაში, ამბობდა მარრი დაახლოვებით, რუსთველს მიჯნურობა აინტერესებს, ცხადია, იგი თავის საყვარელ საგანზე უნდა გადასულიყო და გადადის კიდეც. ამას შემდეგ განმარტავს, თუ როგორი უნდა იყოს მიჯნური და მიჯნურობა საერთოდ. ამ ხანას მოსდევს მეოთხე ხანად მე-9 ხანა (კარ. გ.). ეს სწორედ ის ხანაა, რომელიც უარ-ჰყო ბ-ნმა სარაჯიშვილმა, იმ მოსაზრებით, რომ ამ ხანაში არ არის გამორკვეული, თუ რა არის სიყვარული, როგორ აქვს იგი წარმოდგენილი რუსთაველსაო. ეს იმასა ჰგავსო, სწერს ბ-ნი სარაჯიშვილი, რომ, მაგალითად, ვინმემ სირაქლემა აგიხსნას ამ რიგად: „სირაქლემა სხვა რამეა, არ იხვისა დასადარი“-ო. მოსწრებული და მზად თქმულია, მაგრამ საქმე იმაშია, როგორც მარრი ამბობს, თუ არა ვსცდები, რომ რუსთველი ამ ერთ ხანაში არ ათავებს სიყვარულის ახსნას, იგი შემდეგ ხანებში ანვითარებს თავის თემას და სრულ, მკაფიო მცნებას გვაძლევს მიჯნურობისაო. ამიტომ უარ-ყოფა ამ ხანისა შეცდომად მიაჩნია ბ-ნ მარრს. რაც შეეხება თვით ლექსს, უკანასკნელი სტრიქონი ასე გამოსცვალა:

და ნურვინ გარევთ ერთმან-ერთსა! გესმისთ ჩემი ნაუბარი?

ამ ტაეპის შემდეგ კი მგოსანი გადადის მიჯნურობის უფრო დეტალურ განხილვაზე და შემდეგი ხანები: მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე (10, 11, 12, 13 კარიჭ. გ.) სრულ სურათს გვიხატავენ რუსთაველის შეხედულებისა სიყვარულზე. პრ. მარრი ამ ექვს ხანაში (მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვეში) სრულ აზრს ჰხედავს, რომელსაც კავშირი აქვს პირველ ორ ხანასთან და აგრეთვე მომდევნოსთანაც. მე 14, 15, 27, 28, 29, 30, 31 ხანები კი ყალბად აღიარა, რადგან მათში გამეორებულია ზევით დასახელებულ ხანაში გამოთქმული აზრი. მაგალითად: მესამე (8 კარ. გ.) ხანაში გამოთქმულ აზრის განმეორებაა 29-ში; მეოთხისა (9 კარ: გ.)—27-ში; მეშვიდისა (12 კარ. გ.)—15, 28, 31-ში; მერვესი (10 კარ. გ).—14 და 30-ში.

ამის შემდეგ ბ-ნი მარრი მეცხრე ხანად ათავსებს მე-19 (კარ. გ.) შეიძლება აქ იკითხოს ვინმემ: რა კავშირი აქვს ერთმანეთთან მიჯნურობასა და შაირს, თუ კი კავშირზე იქნება მსჯელობაო? საქმე იმაშია, რომ მართალია გარეგნულად არავითარი კავშირი არ არის, მაგრამ შინაგანი კავშირი აშკარაა. რაკი რუსთველმა მიჯნურობის სურათი დაგვიხატა, ამის შემდეგ მიჯნურობის საუკეთესო გამომხატველ მგოსნებსა და შაირზე გადადის: მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე. ამ ხანებში ლაპარაკი აქვს რუსთველს შაირსა და მოშაირეებზე. ესენიც არ არიან იმ ადგილად, სადაც მოთავსებული აქვს ბ-ნ კარიჭაშვილს თავის მიერ გამოცემულ „ვ. ტ.“-ში. (19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, კარ. გამოც.). მარრს თავის ქებად არ მიაჩნია, რომ რუსთველმა სთქვას, მე სწორედ ასეთ მეთოდს მივსდევ შაირის წერის დროსაო. ერთი ვინმე მოჩანს სამიჯნურო და იმის გარდა არავის ვაქებ, რადგან იგია ჩემი მკვლელიო (მეთექვსმეტე 26. კარ. გამ.).

ბ-ნმა მარრმა სწორეთ აქ მოათავსა მეჩვიდმეტე ხანად ის, რომელიც კარიჭაშვილს მე-16-დ აქვს აღნუსხული. ეს ხანა გახლავთ ის ხანა, რომლის შესახებაც არა ერთხელ და ორჯერ ატეხილა დიდი ალიაქოთი ჩვენს ლიტერატურაში.

ეხე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები. ლ სხ.

*) ანბანით დაწერილი, რიცხვით აღნიშნული მაქვს მარრის მიერ დალაგებული ხანები, ხოლო არაბული ციფრები კარიჭაშვილის გამოცემის ხანებს აღნიშნავს. მ—დ.

მის ქართველ სტუდენტებს საქართველოს შესახებ ნაკლები მასალა აქვთ და ამის გამო ცნობის მოყვარე ევროპიელებს ვერავითარ ცნობებს ვერ აწვდიან ჩვენის ქვეყნის შესახებაო. ადრესი: collegio greco Via del Babuina № 144 Рома.

✦ 21 დეკემბერს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: პოლიციელებმა დააპატიმრეს კარლ ძეძიჩი, რომელსაც ანონიდან მარტიროზოვისა და მახარაძისათვის მოუპარავს ორი პალტო, 55 მან. ღირებული. პუშკინის პასაჟში კიბიდან გადმოვარდა მთვრალი მკერვალი არტემ პოპოვი და ძლიერ დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს. დააპატიმრეს შუშის მცხოვრები ერვანდ აგადრისტოვი, რომელსაც აფიცერთა ეკანომიურ საზოგადოების მაღაზიიდან 21 მანეთის ნივთები მოუპარავს. პოლიციის მე-2 ნაწილში პატრულებმა გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 21 უპასპორტო კაცი.

✦ მანგლისის მცხოვრებმა ილია სოტნიკოვმა პოლიციას განუცხადა, 21 დეკემბერს მამადავითის ქუჩაზე გაცარცვის განზრახვით თავს დამეცა ვინმე დუდაური, რომელმაც საფეთქელში ჯოხი დამარტყაო. დუდაურს ვერაფერი წაუღია. პოლიციამ მიხეილ დუდაური, მზარეული, დააპატიმრა და პასუხის გებაში მისცა.

## სამღვდელოების კრება

კვირას, 20 დეკემბერს, დასრულდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. კრებამ ერთი კვირა გასტანა, დაიწყო 14 დეკემბერს და დასრულდა 21 დეკემბერს. დაესწრო ორმოცი დეპუტატი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კრებაზე პრესის წარმომადგენლები არ შეუშვეს. რითი ხელმძღვანელობდნენ კრების მომწყვეგნი, არ ვიცით. რამდენადაც გავიგეთ, თვით დეპუტატები წინააღმდეგნი არა ყოფილან და ეს განკარგულება სასულიერო მთავრობის ინიციატივას უნდა მიეწეროს.

კრება, როგორც ვსთქვით, დაიწყო 14 დეკემბერს. პარაკლისის გადახდის შემდეგ, ექსარხოსის მოადგილემ დეპუტატებს შესაფერი სიტყვით მიმართა და სასტიკად აუკრძალა პროგრამის გარეშე რაიმე საგანზე ლაპარაკი. პროგრამაში კი, სხვათა შორის, არაფერი არ იყო ნათქვამი ისეთ საჭირ-ბოროტო საკითხზე, როგორც სემინარიის ყოფილი შენობაა...

თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მღვ. ჯალიაშვილი.

პირველად სამღვდელოების წევრთათვის სამარხ კასის წესდებაზე ილაპარაკეს და დაადგინეს ეს წესდება გადაეცეს საბლადოჩინო ოლქების სამღვდელოთა კრებას განსახილველად და თავის აზრის წარმოსადგენად მომავალ დეპუტატთა კრებისთვის.

ქალთა საეპარქიო სასწავლებელზედაც იქონიეს მსჯელობა. დაამტკიცეს სასწავლებლის საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში და ხარჯთა-აღრიცხვა. სასწავლებელს 1908 წელს შემოსავალი ჰქონია 38,242 მ. დაუხარჯავს 37,970 მ. ხელ-უხლებელი თანხა სასწავლებელს აქვს 93,150 მანეთი. მომავალ წლისთვის სასწავლებლის საბჭომ მოითხოვა 40,000 მანეთი (აქედან სანთლის ქარხანამ უნდა მისცეს 22 ათასი მანეთი). კრებამ გადასწყვიტა, მომავალ წლიდან გახსნას სასწავლებელში მეორე განყოფილება მეშვიდე პედაგოგიურ კლასში. ამოირჩიეს სამ-სამი წევრი სასულიერო სემინარიისა და საეპარქიალურ ქალთა სასწავლებლის საბჭოებში.

კრებაზე ლაპარაკი იყო საეპარქიო სასწავლებლისთვის ახალ შენობის აგებაზედაც. ძველი შენობა აღარ იტევს თურმე სასწავლებელს. დაადგინეს ახალი შენობის აგება და ამ საქმისთვის აირჩიეს კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ: მღ. კეკელიძე, მაჭარაშვილი, სვიმონოვი და რაზუმოვსკი.

ცხარე კამათი გამოიწვია სანთლის ქარხნის წარსულმა და აწინდელმა მდგომარეობამ. გადასწყვიტეს: ის 6820 მან., რომელიც მ. გძელიშვილზე ითვლება, გადახდეს მამა გძელიშვილს, რადგანაც მას ამის საშუალება მიეცემა. მამა გძელიშვილი მაგიერ, რომელიც დათხოვნილად იცნეს, სანთლის ზედამხედველად აირჩიეს ქარხნის ეხლანდელი საქმის მწარმოებელი მღ. მიქელაძე, ხოლო საქმის მწარმოებლად—მღ. ლაზარ ნათიძე.

როგორც ანგარიშებიდანა სჩანს, სანთლის ქარხნის მდგომარეობა ამნაირია: ქონება 190,711 მ. 93 კ., ნაღდი ფული 38,762 მან. 30 კ. გაცემული ფული 17,504 მ. 30 კ., სულ 246,979 მ. 12 კ. ქარხანას 40,000 მან. ვალი აქვს. მაშასადამე, ქარხნის დღევანდელ ქონებას შეადგენს 206979 მან. და 12 კაპ.

ის 2410 მან. 84 კაპ., რომელიც მღვდლების ჯამაგირის დასანიშნავად არის გადადებული, გაუყვეს უღარიბეს მრევლს ქართლ-კახეთის ეპარქიაში. მრევლები 3 კატეგორიად დაჰყვეს, შეძლების მიხედვით, და სია შეადგინეს. როგორც ვიცით, ხაზინიდან ნახევარი მილიონი გადასდეს ღარიბ მრევლების კრებულთა დასახმარებლად. ამ ფულიდან სინოდმა ქართლ-კახეთის ეპარქიისთვის გაიმეტა მხოლოდ ზემოხსენებული 2410 მ. 84 კაპ. ამ ეპარქიაში-კი 600 სამრევლოა. კრებაზე ზოგმა ისიც სთქვა, უარი შევუთვალოთ სინოდს და მაგ ფულს სულ ნუ მივიღებთო. მაგრამ ეს აზრი არ გავიდა.

ყველა ზემოდ აღნიშნულის გარდა, კრებამ ს. ჭიროდ სცნო რუსულს და ქართულს ენაზე სასულიერო ჟურნალის გამოცემა. ზოგმა სთქვა ჟურნალის გამოწერა სავალდებულო იყოსო. მაგრამ კრება წინააღუდგა ამას: ჯერ გაგვაცანით პროგრამა, გაგვაგებინეთ, ვინ იქნებიან ხელმძღვანელნი და მერე გადავწყვეტო, სავალდებულო იყოს თუ არაო. აირჩიეს კომისია.

## საზიზღარი მკვლელობა

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში პეტერბურგში, ერთ მიყრუებულ ქუჩაში საშინელი მკვლელობა მოხდა. მთელი პეტერბურგის პოლიცია ფეხზე დადგა. ყველა ამაზე ლაპარაკობდა. მკვლელი სადღაც გაჰქრა. თვით მოკლული საზარელი სანახავი იყო. ოთახში, იატაკზე ეგდო ყელ-გამოჭრილი კაცი; ყური და ცხვირი მოჭრილი ჰქონდა, თავსა და პირზე ტყავი გადაძრობილი. საქმეს ის აძნელებდა, რომ არავინ იცოდა ვინ იყო მოკლული, რადგან სახის ცნობა ყოვლად შეუძლებელი იყო. მალე ხმა გავარდა, მოკლული ინჟინერი გილევიჩიაო. მართლაც, გილევიჩი არსადა სჩანდა. პოლიციამ გილევიჩის დედა და ძმები დაიბარა. გილევიჩის ერთმა ძმამ, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა, კონსტანტინე გილევიჩმა, მოკლულის გვამში თავის ძმა იცნო, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, წინ და წინვე განზრახულის მიზნით.

ინჟინერი ანდრია გილევიჩი დამზღვევ საზოგადოებაში დაზღვეული ყოფილა 100,000 მანეთად. 100,000 მანეთი კარგი ფულია და გილევიჩს გადაეწყვიტა, რითაც უნდა დასჯდომოდა, გამოეტანა ეს ფული. ბევრის ფიქრისა და თავის ძმასთან მოლაპარაკების შემდეგ, გადაუწყვეტია მოეკლა ვინმე და ხმა გაევრცელებინა, ინჟინერი გილევიჩი მოჰკლესო. ამითი აიხსნება, რომ გილევიჩმა ასე საშინლად დაასახიჩრა მოკლულის გვამი. მოკვლის შემდეგ გილევიჩი, უნდა დამალულიყო, მხოლოდ იმის ძმას გამოეტანა 100,000 მანეთი. გილევიჩმა ისე ხერხიანად მოაწყო საქმე, რომ პოლიცია დიდხანს მოუნდა იმის გამორკვევას, მოკლული მართლა გილევიჩი იყო თუ სხვა ვინმე.

გილევიჩი მკვლელობის შემდეგ სადღაც გაჰქრა. პოლიციამ მისი ძმა დააპატიმრა, რომელმაც მალე თავი მოიკლა. მოკლულმა წერილი დასტოვა, რომელშიაც თავს მართლულობდა, მე არაფერ შუაში, ვარო. გილევიჩების დედა ამის გამო დამბლად ჩავარდა. მიუხედავად ამისა, პოლიცია გაფაციცებით დაეძებდა ინჟინერს გილევიჩს. პოლიციამ ევროპის სხვა და სხვა ქალაქში აგენტები გაჰგზავნა და, როგორც დეპეშიდან ვიცით, ინჟენერი გილევიჩი პარიზში დააპატიმრეს.

გილევიჩი მკვლელობის შემდეგ რამდენიმე ხანი პეტერბურგში დარჩენილა და როდესაც საქმე გამომჟღავნებულა სტამბოლით პარიზში წასულა. პარიჟში გილევიჩს ყოველ დღე პეტერბურგიდან უცნობისაგან წერილები მოსდიოდა. უცნობი გულევიჩს ყველაფერს ატყობინებდა. დაპატიმრების რამდენიმე დღის წინად გილევიჩს პოდლოცკის სახელზე პოდლუცკის პასპორტით სცხოვრობდა და ერთი ბანკიდან პარიზში მიუღია 8000 მანეთი. გილევიჩი ტანისამოსს გამოცვლილი და პარიკში ყოფილა. ბანკში სწორედ ამ დროს შემთხვევით შესულა რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტი. აგენტს პოდლუცკი გილევიჩისთვის მიუმსგავსებია და უკან გაჰყოლია. აგენტი მალე დარწმუნებულა, რომ პოდლუცკი გილევიჩი იყო. აგენტს ეს საფრანგეთის პოლიციისთვის უცნობებია და დახმარება უთხოვნია. მაგრამ გილევიჩი რამდენიმე დღით პარიზიდან გამქრალა. მალე გილევიჩს იმავე ბანკით მისვლია 400 მანეთი. ეს გაუგია აგენტს და შესაფერი ზომები მიუღია.

გილევიჩი ბანკში ფულის მისაღებად მივიდა და სწორედ ამ დროს სტაცეს ხელი და დააპატიმრეს. გილევიჩმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, რევოლვერი ამოიღო, მაგრამ წაართვეს. ჩვენების ჩამორთმევის დროს გილევიჩმა უარი განაცხადა, მე ინჟინერი გილევიჩი არა ვარ, პეტერბურგის [illegible] ინსტიტუტის სტუდენტად ნამყოფი პოდლუცკი [illegible] ყდა.

გამოტეხის შემდეგ, როგორც მიღებულია, გილევიჩი ციხეში უნდა გაეგზავნათ. გილევიჩმა პოლიციის უფროსს უთხრა, ავადა ვარ და პატარა ხანი მეორე ოთახში გავალო. ნება მისცეს და აი სწორედ ამ ოთახში გილევიჩმა საწამლავი დალია და ორი წუთის შემდეგ გარდაიცვალა. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გილევიჩს იქვე პარიზში დამარხავენ, მხოლოდ იმის თავს პეტერბურგს გაჰგზავნიან.

როგორც საბოლოოდ გამოირკვა, გილევიჩს მოუკლავს პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტი პოდლუცკი. პოდლუცკის ერთ დღეს განცხადება წაუკითხავს. უცნობი აცხადებდა მდივანს ვეძებო პოდლუცკის გაზეთში გამოცხადებულ ადრესით უპოვნია უცნობი, რომელსაც თავის თავი ინჟენერ გილევიჩად გაუცვნია. გილევიჩს პოდლუცკისთვის უთქვამს, პირადად მე არ მინდა მდივანი, ერთმა დიდი თანამდებობის კაცმა დამავალა ვიშოვნო მდივანი, ამ თანამდებობას გიშოვნით მხოლოდ საზღვარ-გარედ უნდა წახვიდეთო. პოდლუცკი დათანხმებულა, მეორე დღესვე მომზადებულა და გილევიჩთან წასულა. მეორე დღეს გილევიჩმა პოდლუცკი მოჰკლა, მისი პასპორტით ისარგებლა და საზღვარ-გარედ გაიქცა.

ინჟენერი გილევიჩი ასე 26—27 წლის კაცი იყო.

## რუსეთი და იაპონია

**საინტერესო მოხსენება.**

რუსულ გაზეთებში ვრცელად დაიბეჭდა სახელმწიფო საბჭოს წევრის

---

ეს ხანა პრ. მარრს რუსთველის დაწერილად მიაჩნია. ავტორი თვითონ ამბობსო,—ხსნის ბ-ნი მარრი,—და ჩვენ რა უფლება გაქვს, რომ არ დაუჯეროთო. ტარიელის ამბავი წინად პროზით უთარგმნია ქართულად სპარსულიდან ვილაცას და ეს ამბავი „ლექსად გარდავთქვი“-ო.

მეთვრამეტე ხანად ბ. მარრმა მე-17 ხანა მოათავსა (კარ. გ.); მეცხრამეტედ მე-3 (კარ. გამ.) და მეოცედ კი მე-4 (კარ. გამ.) „თვალთა მისგან უნათლოთა... და სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა ლევა უნდა“ პრ. მარრი ამბობს: ეს სამი ფერი არის ერთი თამარი, მეორე მისი მეუღლე დავითი და შვილი. დავითის ქება მოხსენებულია მეცხრამეტეში, თამარის-მეოცეში. არსადა სჩანს შვილის ქება. რუსთაველი უსათუოდ შეაქებდა თამარის შვილს, რადგან ამას მოითხოვდა სასახლის მაშინდელი ეტიკეტიო. უნდა შევნიშნო, რომ ეს აზრი ბ-ნ მარრს დაურღვეველ რამედ არ მიაჩნია. იქნება იკითხოთ: თუ კი დასწერა რუსთველმა თამარისა და დავითის ქება, შვილისა რაღა იქნაო. ადვილად შესაძლებელია, რომ ის ხანა დაიკარგა, რადგან გადამწერლებს შეიძლება გამორჩათ, როცა თვისას სთხზავდნენ და ან პირდაპირ სწერდნენ ხოლმე. ეს პრ. მარრის ჰიპოტეტიური აზრია.

მეოცდაერთე ხანა არის (5 კარიჭაშ. გ.) „მიბრძანეს მათდა საქებრად“ და სხ. ეს ხანა ბ-ნ სარაჯიშვილს ყალბად მიაჩნია. ბ-ნი მარრი კი ამბობს, რომ ამ ლექსის უარყოფა შეცდომა იქნება და დავიწყება ისტორიულ პირობებისა, თუ როდის და როგორ იწერებოდა. საშუალო საუკუნოებში ასეთი ბრძანება ჩვეულებრივი მოვლენა იყო საერთოდ ევროპაში და ჩვენშიაც. ეს საკითხი ძლიერ საინტერესოა იმ მხრივ, რომ ჩვენში ასეთი პირობები დამოუკიდებლად შემუშავდა და ამას ცალკე მკვლევარი ეჭირვება. სასახლის მგოსნებს (რუსთველი ხომ სასახლის მგოსანი იყო) აძლევდნენ წინადადებას, შეექოთ მეფე-დედოფალი, რადგან ეს მათთვის სასახელო იყო. ასეთი მოვლენა არავითარ დამამცირებელ თვისებას არ ატარებს; არავითარი დაცინვა ამაში არ გამოიხატება, ეს მხოლოდ ეპოქის პირმშო შვილია და მაშინდელ ცხოვრების ნიადაგზეა აღმოცენებულიო.

მეოც-და-ორად—არის მე-6 ხანა (კარ. გ.); ოც-და-სამად კი—მე 7 (კარ. გამოც.). და აი ამ ხანით სრულდება „ვ.-ტ.“ წინასიტყვაობა ბ-ნ მარრის გამოკვლევაში.

რაც შეეხება უკანასიტყვაობას, აქ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მარრმა მხოლოდ სამი ხანა უარჰყო. 1574 ხანა იმიტომ უარჰყო მარრმა, რომ არ არის იქ დაცული არც გრამატიკული კანონები ძველი ენისა; ზოგი ტაეპი სრული უაზრობაა, როგორც, მაგალითად, პირველი ტაეპი, ზოგიც გამეორება წინასიტყვაობის მეჩვიდმეტე ხანის აზრისა. რომელი დავითის ქნარია? ან თვით რომელი დავითია? ან რას ნიშნავს „დავითის ქნარი, ვითა **ვსთქვნე სიჩალხე—სიხაფეთანი?“** 1575 და 1576 ხანები კი შეთხზულია აღორძინების ხანის დროს და ეს აშკარად სჩანს როგორც შინაარსიდან, ისე ფორმიდანაც.

როგორც მკითხველი ჰხედავს, „ვ.-ტ.“ წინასიტყვაობას ამ სახით უფრო მეტი აზრი აქვს და ერთი ხანა უფრო მჭიდროთაა დაკავშირებული მეორესთან. მე არაფერს ვამბობ იმის შესახებ, თუ რამდენად მართალია პრ. მარრი, როცა იგი მეჩვიდმეტე (16) ხანას რუსთაველის დანაწერად აღიარებს. ეს სულ სხვა საკითხია და ამაზე მსჯელობა უფრო საბუთიანად მაშინ შეიძლება, როცა ბ-ნი მარრი თავის აზრს საქვეყნოდ ნათელს ჰყოფს. მაშინ საკითხი, რასაკვირველია, უფრო დასაბუთებული იქნება და მიღება ან უარყოფა ამის შემდეგ შეიძლება. პრ. მარრი არ ამტკიცებს და არ „უცილობლობს“, რომ იმისი აზრი უტყუარია, რომ მას არ შეუძლიან შესცდეს, მაგრამ მე კარგად დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე უფრო დასაბუთებული და სერიოზიული შრომა „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ ბ ნ ნ. მარრისა იქნება. უნდა ვისურვოდ მხოლოდ, რომ რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნოს თითქმის უკვე დამზადებული გამოკვლევა.

ახლა მოვიყვან „ვ.-ტ.“ წინასიტყვაობას იმ სახით, რა სახითაც იგი დაბეჭდილი აქვს პრ. მარრს.

1. (I) *)

რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
და მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

2. (XVIII)

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.
კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
და არცა ვისგან დაეწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს.

3. (VIII)

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა.
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,
და ვისცა ეს სრულიად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

4. (IX)

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი.
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
და ნურვინ გარევთ ერმან-ერთსა! გესმისთ ჩემი ნაუბარი?

5. (X)

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი ბილწი მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთ-ქმა უში,
გულის ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს თუნდა ქუში.
და მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში.

6. (XI)

აჴა საქმესა მიჯნურნი ნუ უხმობთ მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა:
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა ყმაწვილობასა.
და კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.

7. (XII)

არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჭირთა, მალვა.
თვის წინა იგონებდეს ნიადაგმცა, ჰქონდეს ხალვა
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა.
და დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

8 (XIII)

ხამს თავისსა ხვაშიადსა არვის-თანა ამჟღავნებდეს.
არ ბედითად ჰაი ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით უჩნდეს მიჯნურობა, არა სადა იფერებდეს,
და მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.

9 (XIX)

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი. მსმენელთათვის დიდი ბარგი:
კვლავ აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი კარგი.
და გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის შაირია ამათ კარგი.

10 (XII)

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა:
და რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

11 (XXI)

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ვერღა მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შემოაკლოს ქართული, არა ქნას სიტყვა-მცირობა,
და ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

12 (XXII)

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვას ერთი, ორი:
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი,
განაღა სთქვაი ერთი, ორი, უმსგავსო და შორი შორი.
და მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლოს ვითა ჯორი.

*) ამ შემთხვევაში არაბულ ციფრით აღნიშნული მაქვს ბ-ნ მარრის, ზოლო ბ-ნ კარიჭაშვილის წანუში. შ—დ.

13. (XXIII)

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა:
არ ძალუძს სრულ ქმნა უშისა, გულისა გასაგმირეთა.
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა.
და დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა.

14. (XXIV)

მესამე არს ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად:
ჩვენ მათიცა გვიამების, რაცა ოდენ სთქვან ნათელად.
და მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

15. (XXV)

ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვის-მე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს.
და მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

16. (XXVI)

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,
ეს მიჩანს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია,
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია
და მისი სახელი შეფრქვევით ქვემორე მითქვამს, მიქია.

17. (XXVII)

ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქენ საჭოჭმანები:
და ჩემმან ხელ-მქნელმან დამმართოს, ლაღმან და ლამაზმა, ნები.

18 (XVII)

თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა:
აჰა გული გამიჯნურდა, მიხდომია ველთა რბენა.
მიაჯეთ, ვინ ხორცთა დაწვა კმარის მისცეს, სულთა ლხენა:
და სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლევნა.

19 (III)

ვის ჰშვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფესა, მზეს თამარისა, ღაწვ-ბადახშ-თმა გიშერისა,
მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა, შერისა,
და მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მშიერისა.

20 (IV)

თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვსთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული:
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად ნაი რხეული
და ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

21 (V)

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე ტკბილისა,
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,
და გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

21 (VI)

აწ ენა მინდა გამოთქმად მე გული და ხელოვნება,
ძალი მომცეს და შეწევნა: მისგნით მაქვს, მივსცე გონება,
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსოვნება:
და მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირსთ ერთმან-ერთის მონება.

23 (VII)

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი,
მისებრი მართ დაბადებით ვინ კა ყოფილა შობილი.
დავსჯე რუსთველმან, გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ სობილი
და აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

იმ ხანებს, რომელიც ყალბად მიაჩნია ბ. მარრს, აქ არ ვათავსებ, რადგან წერილი ისედაც გაგვიგრძელდა.

შოთა დ—იანი.

გლეზმერის მოხსენება შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ.

ბ. გლეზმერი ნერის მეტად საშიშად სთვლის შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობას. მისი აზრით, იაპონიას, თავის ჰავისა და მაღალ სამეურნეო კულტურის წყალობით, უზრუნველყოფელი აქვს წელიწადში სამი მოსავალი, რომელსაც შეუძლიან 80 მილიონ სულის გამოკვება, როდესაც ამ ჟამად იაპონიის მცხოვრებთა რიცხვი ძლივს ადის 55 მილიონამდე. სამეურნეო კულტურას ხელს უწყობს გაყვანილი და მშვენივრად მოწყობილია ყველგან სარწყავი არხები. იაპონიის ხალხი საოცრად შრომის მოყვარე და ზომიერია და სწორედ ეს შეადგენს იაპონიის ძლიერებისა და სიმდიდრის უმთავრეს მიზეზს. ამიტომ ადვილი დასაჯერებელია იაპონიის პირველ მინისტრის იმედი, რომ მომავალ წელს იაპონიას სესხი აღარ დასჭირდება სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

სამხედრო ფლოტი არის სული იაპონიისა, ხოლო სავაჭრო ფლოტი—მისი სხეულია. ამ ჟამად იაპონიაში ვეღარ იპოვით წერა-კითხვის უცოდინარსა და მათხოვარსა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ იაპონიაში ყველა კითხულობს გაზეთებს, რომლების რიცხვი 4 ათასზე მეტია.

გლეზმერის აზრით, სადავო საგანს რუსეთსა და იაპონიას შორის შეადგენს ისევ კორეია, რომელზედაც, იაპონელების აზრით, რუსეთს დღემდე თვალი უჭირავს, ხოლო ეს გარემოება იაპონელებს მიაჩნიათ დიდად საშიშ საფრთხედ თავიანთ სამშობლოსათვის. ამიტომ იაპონია ყოველ-ნაირად ეცდება, რომ რუსეთის საზღვარი დააშოროს კორეას, რომელიც მას თავის საკუთრებად მიაჩნია.

გლეზმერს არა სჯერა, რომ ინგლის-იაპონიის კავშირი ხანგრძლივი იყოს. სულ სხვა იქნება, მის აზრით, იაპონიის კავშირი გერმანიასთან, რომლის ფლოტი ჯერ კიდევ ახალგაზდაა და ამიტომ უფრო ადვილად შეურიგდება იაპონიის ფლოტის გაძლიერებას; იქნება გერმანიას, ინგლისის ჯიბრზედ, გაუხარდეს კიდეც იაპონიის ფლოტის გაძლიერება. შეერთებული შტატები, მომხსენებელის აზრით, აქტიურ როლს არ ითამაშებს—სახელმწიფოთა მოსალოდნელ შეტაკების დროს: ისინი განზე დგომას ამჯობინებენ. ხოლო თუ ამერიკა ნეიტრალიტეტს დაიცავს და საქმეში არ ჩაერევა, იაპონიის კავშირი გერმანიასთან წარმოადგენს ისეთს ძალას, რომელსაც შეუძლიან არა თუ მარტო შორეულ აღმოსავლეთის გეოგრაფიულ რუქის შეცვლა, არამედ თვით ევროპის რუქისაც.

რუსეთის სამფლობელო შორეულ აღმოსავლეთში მეტად სამწუხარო, თითქმის უიმედო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. აუცილებლად საჭიროა ციმბირის რკინის გზის მეორე ლიანდაგის გაყვანა, რაც სულ მცირედ 176 მილიონი დაჯდება, გინდ მატარებლებისა და ვაგონების ფასიც არ ვიანგარიშოთ. ამას გარდა, აუცილებლად საჭიროა ამურის რკინის გზა ხობაროვსკამდე მიიყვანონ და აშენდეს კიდევ ახალი გზები ბლაგოვეშჩენსკსა და ნიკოლაევსკამდე, ხოლო ამ საქმეებს არ ეყოფა 300 მილიონიც. მერე, აუცილებლად საჭიროა რუსეთმა სამხედრო ფლოტი ააშენოს და ახალი ციხე-სიმაგრეები ააგოს შორეულ აღმოსავლეთში. დასასრულ, რუსეთმა იქ უთუოდ უნდა იყოლიოს 300 ათასი ჯარისკაცი, თორემ წინა ამდაგ შემთხვევაში ამ სამფლობელოს ადვილად დაჰკარგავს.

გლეზმერი აღნიშნავს, რომ იაპონიის ერთად-ერთ სუსტ მხარეს შეადგენს—ბოიკოტი, რომელიც გამოუცხადეს ჩინელებმა მის საქონელს და გემებს. ეს ბოიკოტი დიდ ზარალს მოუტანს იაპონიის ვაჭრობას. დასასრულ, გლეზმერი აღნიშნავს, რომ იაპონია თავის სამხედრო მზადებას 1911 წელს დაამთავრებს და იმავე წელს თავდება ვადა იაპონიის ნაირნაირ ხელშეკრულობებისა უცხო სახელმწიფოებთან. კარგი იქნება, თუ რუსეთი დაუმეგობრდება ჩინეთს და 1912 წლს თავის მხარეზე გადიყვანს მას.

მომხსენებელმა თავისი აზრი შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ მოკლედ ასე გამოსთქვა 1. იაპონიას ნამდვილად სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთმა; 2. იაპონიას აუცილებლად სჭირია ადგილების ძალით შეძენა; 3. იაპონელები უკმაყოფილონი არიან რუსეთთან ომის შედეგებით და ამიტომ მათ გულით უნდათ ახალი ომი რუსეთთან; 4. თუ სერიოზული წამი დადგა, გერმანია და ავსტრია უთუოდ მხარს დაუჭერენ იაპონიას; 5. რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში სუსტია იაპონიაზე და მეტად ცუდ ყოფაშიაცაა; დასასრულ, 6. იაპონია დიდ ხანს აღარ მოიცდის, მაგალითად იგი არ დაუცდის ჩინეთის განახლებას, და 1912 წელს უთუოდ დაიწყებს ახალ ომს („უ. რ.“)

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** მოსწყინდა საზოგადოებას გამუდმებული დრამებიო, ვსწერდით წინად და მართლაც დასი შაბათსა და კვირას მხიარულის წარმოდგენებით გაგვიმასპინძლდა.

პირველ საღამოს ითამაშეს გოგოლის კომედია „რევიზორი“. ეს პიესა იმ რჩეულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც დრო-ჟამთა მსვლელობა არ აბერებს, იგი მუდამ ახალი, საამური და საყურადღებოა. პიესა ჩვენს სცენაზე რიგიანად წარმოადგინეს, თუმცა უკეთესი შესრულება ეკადრებოდა. გოროდნიჩის როლში ბ-ნი ვასილ აბაშიძე ბევრჯერ გვინახავს და, როგორც ყოველთვის, ეხლაც საუცხოვო იყო. პირველში მსახიობს ცოტა უგულობა ეტყობოდა, მაგრამ მეორე მოქმედებიდან „როლში შევიდა“. დასაწყისში შთაბეჭდილების შესუსტებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ წარმოდგენა რვა საათზე ადრე დაიწყეს, და პირველმა მოქმედებამ ახლად მოსულთა ფაციფუცსა და სკამების ძებნაში ჩაიარა.

მოხდენილი ხლესტაკოვია ბ-ნი დ. ჩარკვიანი. მსახიობი ლაპარაკის დროს სიტყვებს მალ-მალ რომ არ სწყვეტდეს, რაიცა ხშირად წინადადებას მთლიანობის ხასიათს უკარგავს, მეტად საამური იქნებოდა.

ოსიპის როლი ბ-ნმა იმხნელმა შეასრულა. ჩვენ ამ ახალგაზდა მსახიობს პირველად ვხედავთ, და მის სასცენო ნიჭის დაფასებას ერთხელ ნახვით ვერ ვეკისრებით. ხმა მეტად ტკბილ-საამური, სასცენო აქვს. ოსიპის როლში კი იგი სუსტი იყო. მეტად მძიმე ლაპარაკით, მოდუნებული და ზანტი მოძრაობით ქართლელ ტეტია გლეხს უფრო გვაგონებდა. ჩვენ გვესმის, რომ მშიერ ოსიპს დარდიმანდობისა არა სცხელა-რა, მაგრამ გადაჭარბებული დავარდნილობაც არ არის საჭირო.

ჩვეულებრივის სიცოცხლით ჩაატარა მარია ანტონოვნას როლი ქ-ნმა დავითაშვილმა. ხოლო ანნა პეტროვნას როლში ქ-ნი ივანიძისა ერთგვარი კილოთი და გაბმული ლაპარაკით თვითონაც მოიღალა და ჩვენც დაგვღალა.

შეუფერებელნი იყვნენ ბ-ნნი სარელი და ბარველი დობჩინსკისა და ბობჩინსკის როლებში. ნამეტნავად პირველი, რომელსაც სულ არ ემარჯვება ჩქარი, სხაპა-სხუპით ლაპარაკი, ბ-ნ ბარვლს როლის გადმოცემაში მეცადინეობა არ აკლდა, მაგრამ გარეგნობა ხელს არ უწყობდა. გვეგონა, ამ როლებს ბ-ნთ ნემსა და ბალანჩივაძეს მიანდობდნენ. მაგრამ პირველი ხლოპოვის როლში გამოვიდა მეორე-კი მაყურებელთა რიცხვს ამრავლებდა პარტერში.

კარგები იყვნენ ნემო (ხლოპოვი) დადიანი (ლიაპკინ-ტიაპკინი), კორიშელი (ზემლიანიკა) და მურუსიძე (ფონ-შტმეისტერი).

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, თუმცა მეტს მოველოდით. განსაკუთრებით არა სჩანდნენ მანდილოსნები. ამისი მიზეზი „კლუბში“ გამართული მასკარადი იყო, რომელსაც, როგორც გავიგეთ, ბევრი ხალხი დასწრებია, ზოგი „პრიზის“ მისაღებად, ზოგიც „მასკების“ საჭვრეტად.

„რევიზორს“ ბევრი რუსი მაყურებელიც დაესწრო.

მეტად მხიარული იყო კვირის წარმოდგენაც. ამ საღამოს ისევ ბ-ნ ვასილ აბაშიძის მონაწილეობით დასმა ითამაშა მხიარული კომედია „აირია მონასტერი“ მთელი საღამო თეატრში სიცილი არ შეწყვეტილა. ბ-ნ აბაშიძეს ღირსეულად მხარს უმშვენებდნენ ამ პიესაში გუნია, დადიანი, ნემო, დავითაშვილი და ბარველი, რომელიც ჩინებული უშტვინაძე იყო.

კომედიის წინ ითამაშეს შალვა დადიანის 1 მოქმ. სცენა „როს ნადიმობდნენ“. სცენა შინაარსიანი გამოდგა „ცხოვრების სუფრას“ გარშემოსხდომიან: ბატონი, ქალბატონი, მწირი—ბერი, მგოსანი, მეცნიერი, კაპიტალისტი და ყველა მათგანი თავის სულიერ მისწრაფებისა დაგვარად ეპატრონება სუფრას, მაგრამ აგერ მოულოდნელად გამოჩნდებ მუშა, თავის მხნეობით წელში გასწორა შიშისგან ოთხად მოხრილი გლეხი, შიშით მათ მიმოჰფანტეს ყველანი და სუფრას, როგორც მათ სისხლისა და ოფლის ნაყოფს, თითონ დაეპატრონნენ. „მეორეთ მოსვლის“ ნიშნები გამოჩნდა, ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, მიდამო ბნელმა ღამემ მოიცვა, ყველაფერი აირია და მხოლოდ გამარჯვებულ მუშათა ბრაზ-მორეული ხარხარი-ღა ისმოდა...

ამ სცენას განმეორების დროს მეტი სიცოცხლე უნდა შეჰმატონ. ბერი და გლეხი მეტად სუსტობდნენ. პირველი ძალათ გაბერილი ხმით ლაპარაკობდა, მეორე ისე სწვდიდა კისერს თითქოს, სულსა ლაფავსო...

თეატრი სავსე იყო. **ჯაფარ-ფაშა.**

## უცხოეთი

**დღ, სახწაული გლადსტონის სახსოვრად.**

წარსულ 16 დეკემბერს, შესრულდა ასი წელიწადი ინგლისის დიდებულ სახელმწიფო მოღვაწის განსვენებულ ვილიამ გლადსტონის დაბადების დღიდან. ეს დღე მთელმა ინგლისმა და განათლებულმა ქვეყნიერობამ იდღესასწაულა.

16 დეკემბერს დილიდანვე გლადსტონის დიდებული ძეგლი ლონდონში შემკობილი იყო გვირგვინებით და ძვირფას ყვავილებით. ყურადღებას იქცევდ ვერცხლის გვირგვინი, მოტანილი ბოლგართა დეპუტაციის მიერ; ამ გვირგვინზე ეწერა- „მადლობის ნიშნად ჩვენს განმანთავისუფლებელს;“ საყურადღებო იყო აგრეთვე დიდი დაფნის გვირგვინი ზედ წარწერით—„მადლიერ სომხებისგან დაჩაგრულ ერთა დიდებულ მეგობრის ხსოვნას“ და ფინლანდიელების გვირგვინი: „გლადსტონს—პატარა ერების მეგობარს“. ახალგაზდა ინგლისურ ლიბერალების გვირგვინზე ეწერა: „გლადსტონო, შენ უნდა აქამდე გეცოცხლა, ამ ჟამად ინგლისს სჭირია შენი თავი“. გლადსტონის საფლავიც მრავალ გვირგვინით შეამკეს.

იმავე დღეს ახალგაზდა ინგლისელმა ლიბერალებმა გლადსტონის სახსოვრად გადაიხადეს საუზმე, რომელსაც დაესწრნენ ბოლგარიიდან მოსული დელეგატები და აგრეთვე წარმომადგენლები ლონდონში მყოფ ინდოელებისა, სომხებისა, სერბებისა და ფინლანდიელებისა თავმჯდომარედ აირჩიეს ლორდ-კანცლერი ლორბიარნი. თავსმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის შენიშნა, რომ გლადსტონი ყველაზე დიდებული კაცი იყო ინგლისელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორისო. გლადსტონმა აღამაღლა თავის სამშობლოს კეთილ-დღეობა და დიდი სამსახური გაუწია დაჩაგრულ ქვეყნების განთავისუფლებას. იგი ყოველთვის უშიშარი და უცვლელი მეგობარი იყო პატარა ერებისა, მან ხელი შეუწყო იტალიისა და საბერძნეთის აღორძინებას და აგრეთვე ბოლგარიისა, სერბიისა და ჩერნიგორიისა განთავისუფლებას. ვის არ ახსოვს გლადსტონის სიტყვა სომხების დასაცველად? ისტორიაში ძნელად შეგხვდებათ პოლიტიკოსი, რომელსაც ისეთი მაღალი იდეალები ჰქონდეს და ისე მედგრად ანხორციელებდეს მათ, როგორც გლადსტონი.

მთელმა ინგლისურმა პრესამ, პარტიის განურჩევლად, დიდი ქება-დიდება უძღვნა გლადსტონის ხსოვნას.

ლონდონში გ ხსნეს მუზეუმი, რომელშიაც შეკრიბეს გლადსტონის ნაქონი საგნები, წიგნები, სურათები და აგრეთვე მისი საკუთარის ხელით დაწერილი წერილები.


## განცხადებანი

**ექიმი ი. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—28)

კირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—241)

**ქ. ქუთაისში**

**მებაღე ვარლამ ვ. ჩიხლაძე**

ვყიდი ამერიკულ ვაზზე საუკეთესოდ დამყნილ ჩვენებურ ჯიშის ვენახს ხელმისაწვდენ ფასებში. მსურველს შეუძლიან იკითხოს ძველი ტფილისის ქუჩის შესახვევში ამბაკო იამანიძის სახლში (ვაგზალთან). 10—33.—1

**გამოვიდა გასასყიდად**

**ბ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს** მიერ შედგენილი და „სორაპნის“ ამხ. გამოცემული




ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1910 წ.**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

**ფასი 20 კაპ.**

ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.

ადრესი: Типографія „Сорапань“. Гачечиладзе. (15—13)

**ივანე იაკობის ძე დოლბოლენკო**

გადავიდა საცხოვრებლად ქალაქ გორში, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი № 10. კისრულობს საწარმოებლად სამოქალაქო, სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს, აგრეთვე საქმეებს საგლეხო დაწესებულებებში. (3—972—2)

**ნიკოლოზ ანტონის ძე საჯაია**

**ქ. ბ ა თ ო მ შ ი.**

რადგან ბათუმის, ქუთაისის და მისივე მაზრის შეკრება [illegible] ბაზარში ახლად აგებულ «ბ ა ზ ა რ ში», [illegible] მაქვს მიღებული დიდი ხნის საქონელი და აგრეთვე მიღებული მაქვს დიდ-ძალი ახალი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებისა, ამიტომ **გაიმართა ძლიერ გაიაფებული ბაზარი 7 ამა ქრისტეშობისთვიდან ვიდრე დამლევამდის.**

ფასები დაკლებული იქნება ჩვეულებრივზე **20-დან 60 პროცენტამდის** ყველ ქვემო-ჩამოთვლილ საქონლებზე: ყოველ-გვარი მუშეულობა, ფარფორის და ფაიანსის სერვიზი, ლამპეული ნავთისა და ელექტრონისა და მისი პროვოდები, ბრინჯეული, მელხიორის დანა-ჩანგლები, სპილენძეული, სამღვრები, ემალ-გადაკრული ჭურჭლეული და სამზარეულოს ყოველ-გვარი მოწყობილება—ფეჩქები, ქურნები ნახშირისა, შემის თუ ნავთისა, კლიონკები. ყოველ-ნაირი მებელი, სკამები, ხარგები, პირის საბანებლები, რკინის კრაოტები, შატრაცები და სხვა ბევრი ამგვარი საქონელი. იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება მობრძანდება და თვით დარწმუნდება, რომ მართლაც ძლიერ იაფი ფასებია დანიშნული საქონელზე. ვაჭრობა ნაღდზეა და გადაწყვეტილი ფასის საქონელზეა დაწერილი. (10—ფ.—10)

კვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

**1910 წ. საქართველოს მოამბე 1910 წ.**

**მიიღება ხელის მოწერა.**

ერთის წლით 4 მან. 50 კაპ., უცხოეთში 6 მან. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. სხვათა შორის 1910 წლიდან დაიწყება ბეჭდვა განთქმულ მწერლის მოპასანის საუკეთესო რომანისა: „ცხოვრება“.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Головинскій просп. д. Манташева, номера „МУХРАНИ“ Семену Кипіани. (6—6)

**დ ე პ ო**

**ლამფებისა და ჭურჭლეულობისა**

(ნერსესოვისა და ბარონის ქუჩების კუთხე)

**დარჩო იაგორის ძის ეგანოვისა.**

ვაჭრობა ბროლისა, ფაიანსისა, ფაიფურისა, მელხიორის ნივთებით, აგრეთვე ემალ გადაკრული სპილენძის ნაწარმოები და სამზარეულოს ლითონის ნივთებით.

სამოვრები ყოველ-გვარ ფასონისა.

**ფასები ხელმისაწვდენია.**

**აუარებელი საჩუქარი დღესასწაულებისათვის.** (1—ხალ.—1)

**1909 წლის ნოემბრიდან ბაქოში გამოდის დიდი ყოველდღიური საღამოს გაზეთი**

**„ვეჩერნაია ზარია“**

(ВЕЧЕРНЯЯ ЗАРЯ),

სადაც მრავალი ცნობაა მოთავსებული საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების შესახებ.

ყოველ დღე: დეპეშები და კორესპონდენციები კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდან, კასპიის იქითა მხრიდან, რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან.

ყოველ დღე: საბირჟო ცნობები საკუთარ კორესპონდენტების დეპეშებით.

ყოველ დღე: წერილები და შენიშვნები დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხებზე. ახალი ამბები სამ სტრიქონში. ქრონიკა. ლიტერატურული განყოფილება. ჰაერში ფრენა. თეატრი და მუსიკა. საზოგადო ცხოვრება. სავაჭრო-სამრეწველო განყოფილება. გამოსადეგი ცნობები, განცხადებანი და სხვა.

ყოველ დღე: ფელეტონები დღის საჭირბოროტო თემებზე: ანტ..., ა. გარინისა, იგლასი, L'Mar'-ის, მიზეილ ნ, და სხვათა.

ხელის მოწერის პირობები:

| | |
|---|---|
| ერთი წლით 7 მან. 20 კ. | სამი თვით 2 მან. |
| ნახევ. წლით 4 მანეთი | ერთ თვით 1 მან. |

**ცალკე ნომერი 3 კაპეიკი.**

განცხადებანი 1-ლ გვერდზე 25 კ., მე-4 გვერდზე 15 კაპ. პეტიტის სტრიქონზე. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის სტრიქონი 1-ლ გვერდზე 30 კაპ., მე-4 გვ. 20 კაპ.

კავკასია და ამიერ კავკასიის მხარე ისეთი ადგილებია, სადაც მრეწველობა განვითარებული არ არის და სადაც მოდის დამუშავებული საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკა-ქარხნებიდან. თუ ისეთ გავრცელებულ გაზეთში, როგორიცაა „ვეჩერნაია ზარია“, მოთავსებული იქნება განცხადებანი, საქონლის გასაღებასაც ხელი შეეწყობა.

რედაქცია და კანტორა: Баку, Красноводская, типографія „Фаросъ“. Телефонъ № 15—98.

რედაქტორ-გამომცემელი **ვ. ლოლეევი.** (3—3)

**Открыта подписка на 19⁰⁹/₁₀ годъ**

НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

**НА КАВКАЗѢ**

Ежемѣсячный журналъ исторіи, этнографіи и общественно экономической жизни Кавказскаго края; литературы, публицистики, науки и искусства.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА за 12 кн. 5 РУБЛ. отъ 6 до 10 лист. каждая за 6 книгъ—3 руб. за 3 книги—1 р. 50 к.**

ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ ФАКТИЧЕСКОЕ УЧАСТІЕ:

Петръ Авдѣенко, д-ръ полит. наукъ Вл. Ахметеловъ, С. И. Борчевскій, проф. С. А. Венгеровъ, Д. Ведребисели, Б. М. Городецкій, М. Джанашвили, П. А. Зажаевъ, Е. С. Канчеръ, М. П. Кожушко, Петръ Кузько, А. И. Литовкинъ, Г. М. Малышенко, Лук. Мельниковъ, проф. Всев. Ѳ. Миллеръ, П. В. Мироновъ, Нусэ, И. Ѳ. Пальмовъ, А. С. Пираловъ, Ник. Поярковъ, Н. А. Преображенскій, Г. А. Робинсонъ, А. Родной (Коростылевъ), А. М. Розовъ, Н. М. Рындинъ, П. А. Скачковъ, В. В. Скидапъ, А. Т. Спарскій, Султанъ-Довлетъ-Гирей, Е. М. Тумановъ, С. Тимофеевъ, проф. М. И. Туганъ-Барановскій, проф. А. С. Хахановъ, Г. М. Цаголовъ, Ф. А. Щербина, С. П. Эйрановъ и др.

Вышли 5 №№ журнала и продаются во всѣхъ книжныхъ магазинахъ Тифлиса, Баку, Елисаветополя, Кутаиса, Эривани и др.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ г. Екатеринодарѣ: въ конторѣ редакціи—Соборная, 50, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Тифлисѣ—въ книжномъ магазинѣ Хидекель, Центр. Книж. торговлѣ и др.; во Владикавказѣ, Баку, Кутаисѣ и Ставрополѣ во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Петербургѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М. О. Вольфъ; въ Москвѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М. О. Вольфъ. (6—1)

Съ января 1910 г. въ С.-Петербургѣ начнетъ выходить еженедѣльн. журналъ

**„ЖИЗНЬ КАВКАЗА“,**

органъ печати научный, внѣпартійный прогрессивный, свободный отъ всякихъ національныхъ симпатій и антипатій

Газета ставитъ себѣ цѣлью всестороннюю освѣдомленнось по всѣмъ вопросамъ Кавказа.

Годовая цѣна «Жизни Кавказа»: 7 р., полуг. 4 руб. Цѣна объявленій впер. текста: стран. большого формата 100 р., ½ стран.—60 р., ¼ стр.—35 р., и позади текста: стран. 60 р., полстран.—35 р. и ¼ стран.—20 р. Подписка на журналъ и объявленія принимаются или адресуются С.-Петербургъ, Главная Контора журнала „Жизнь Кавказа“—книжный магазинъ „Наша Жизнь“ Литейный пр., 32.

Редакторъ-издатель **А. Котельниковъ.** (5—2)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.